10/050 "18" 06 201

არასამთავრობო ორგანიზაცია
„ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი"–ს
დირექტორს ბ–ნ გიორგი კლდიაშვილს

ბატონო გიორგი,

გიგზავნით დოკუმენტს, რომელშიც ასახულია ბოლო 7 თვის (ოქტომბერი–აპრილი) მანძილზე სს „ბანკი ქართუ"–ს წინააღმდეგ განხორციელებული და პოლიტიკურად მოტივირებული ღონისძიებების მაქსიმალურად სრულყოფილი ჩამონათვალი, შესაბამისი ანალიზითა და სათანადო შეფასებებით.

დოკუმენტში ნათლად ჩანს, რომ ბანკის წინააღმდეგ დაწყებულ სადამსჯელო ოპერაციაში ღიად არის ჩართული საქართველოს ხელისუფლების ყველა შტო, ხოლო ქმედებები, რომ პოლიტიკურად არის მოტივირებული აშკარად იკვეთება თითოეული ოპერაციის ზედაპირული ანალიზითაც, დაწყებული გასული წლის 8 ოქტომბრიდან (ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ პირველი პოლიტიკური განცხადების გაკეთების მეორე დღეს), როდესაც დაიწყო მასირებული ზეწოლა ბანკის კლიენტურაზე, დამთავრებული საქართველოს კონტროლის პალატის პარტიების მონიტორინგის სამსახურის მიერ ბანკის აბსოლუტურად აბსურდული დაჯარიმებით.

სამწუხაროდ, მასალებში აღწერილ პროცესებში ერთმნიშვნელოვნად იკვეთება საქართველოს ეროვნული ბანკის დესტრუქციული როლიც, ხოლო საქართველოს ბანკების ასოციაციას, რომლის ძირითადი მიზანია „ბანკების უფლებებისა და ინტერესების დაცვა, მათი სამართლებრივი გარანტიებისა და საქმიანობის კოორდინაციის ხელშეწყობა", საერთოდ არ განუხილავს მისი ერთერთი წევრის წინააღმდეგ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებათა მთელი კასკადი.

გთხოვთ, დეტალურად განიხილოთ თანდართულ დოკუმენტში აღწერილი თითოეული ფაქტი იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენ მზად ვართ საჭიროების შემთხვევაში წარმოგიდგინოთ დამატებითი დოკუმენტური მასალა, თუ აუცილებელი ახსნა–განმარტებანი და თქვენი კომპეტენციის ფარგლებში მოახდინოთ სათანადო რეაგირება.

წინასწარ გიხდით მადლობას თანადგომისთვის.
თან ერთვის: ტექსტი 47 გვერდზე 2 დანართით და დოკუმენტის ელექტრონული ვერსია.

პატივისცემით,

ნოდარ ჯავახიშვილი

სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე

www.cartubank.ge
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი 0162, საქართველო 39a Chavchavadze, 0162 Tbilisi, Georgia T +995 32 2925590/91/92 F +995 32 29122
cartubank@cartubank.ge